შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№388(W)/

27. 06. 2016 წ.

პროექტის ექსპერტიზა

ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, III მკ/რ-ნი, 301 კორპუსის მიმდებარედ ნაკვეთი 26/014-ში, შპს "ვარკეთილაირი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ფართზე პროექტის მიხედვით ოთხ სართულიანი კორპუსის მშენებლობისათვის გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება

თბილისი

2016 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, III მკ/რ-ნი, 301 კორპუსის მიმდებარედ ნაკვეთი 26/014-ში, შპს "ვარკეთილაირი"-ს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამოკვლეული და შესწავლილი გეოლოგიური ნაწილის შესაფასებლად. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

პირველ რიგში შევისწავლილ იქნა ინჟინერ-გეოლოგის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია კვლევაში. წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაყარი ფენის შემდგომ გვხდება არგელიტებისა და თიხა და ქვიშაქვების მორიგეობა, რომლის სიმტკიცის კოეფიციენტი (R_o-3.5 კგ.ძ/სმ^2) მოცემულ პროექტთან მიმართებაში მისაღები და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებელია (ფენა №3). აღნიშნული კორპუსი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გეგმაში მართკუტხა ფორმისაა საშუალუ სირთული და მოცემული გეოლოგიური პირობები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით დაგეგმარებულ იქნას კონსტრუქციული ნაწილი, საძირკვლები და მზიდი კონსტრუქციული ელემენტები. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ უბანზე გავრცელებულია ძირითადად ქვიშაქვებისა და თიხნარების ფენა, რაც შეესაბამება სინამდვილეს და მოცემული კოეფიციენტები აღებულია მართებულად. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები განხორციელებულია ჯეროვნად.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით მოცემული პროექტის დასაძირკვლება უნდა განხორციელდეს 3 ფენაზე, სადაც დასაშვებია როგორც ლენტური ასევე წერტილოვან-ლენტური ტიპის საძირკველი. გეოლოგიური პირობების მიხედვით მოცემული კოეფიცინტები სრულიად არის შესწავლილი და გამოკვლეული რასაც ვეთანხმებით და ვადასტურებთ გამოკვლეული შედეგების მიხედვით.



დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა გეოლოგიური მონაცემები, შესრულებულია ჯეროვნად და აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას, რომელიც შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე. აქედან გამომდინარე გეოლოგიური მონაცემები და მასში მოცემული საანგარიშო კოეფიციენტები საკმარისად დამაკმაყოფილებელია მოცემული საპროექტო სამუშაოების განხორციელებისათვის.

დირექტორი: **ა. ყურაშვილი**

კონსტრუქტორ-ექსპერტი: